საბანკო ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობები

წინამდებარე პირობები არეგულირებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ [შემდგომ „ბანკი“] მიერ კლიენტი ფიზიკური პირისათვის [შემდგომ „კლიენტი“ ან „მფლობელი“] საბანკო მომსახურების გაწევას, დაკავშირებულს, შესაბამისი ანგარიშის გახსნასთან/საბანკო პროდუქტთან.

1. ზოგადი დებულებები

1.1. ბანკი უხსნის კლიენტს საბანკო ანგარიშ[ებ]ს და უწევს მას მომსახურებას წინამდებარე პირობებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

1.2. საბანკო ანგარიშთან დაკავშირებული კონკრეტული საბანკო მომსახურებების მიღების და ამ მომსახურებების წინამდებარე პირობებით დარეგულირების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადით ნების გამოვლენა.

1.3. [ამოღებულია].

1.4. კლიენტი თანახმაა, რომ შემდგომში ბანკში სხვა ანგარიშები გახსნას დისტანციურად, ვიდეობანკის ან სხვა საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო საშუალებით გაკეთებული განაცხადის საფუძველზე.

1.5. კლიენტისათვის ცნობილია და ადასტურებს, რომ დისტანციური საბანკო მომსახურებით განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია ითვლება ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებულ, სამართლებრივი ძალის მქონე ნების გამოვლენად, შესაბამისი თანმდევი იურიდიული შედეგით. ინტერნეტ/მობაილბანკის პროგრამის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ელექტრონულ ჩანაწერებს აქვთ იურიდიული ძალა და შესაძლებელია გამოყენებული იქნას მტკიცებულების სახით.

1.6. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის პერსონალური ინფორმაცია გამოიყენოს [1] კლიენტის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის [2] კლიენტის მიერ საბანკო მომსახურების მიღების [3] კლიენტისათვის საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების გაგზავნის [4] განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და [5] პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად.

1.7. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ თუ იგი ნებისმიერი საბანკო მომსახურების ფარგლებში, ბანკს განუცხადებს სატელეფონო ნომრის ცვლილებების შესახებ, აღნიშნული ცვლილება გამოყენებული იქნება ყველა საბანკო მომსახურების მიმართ.

1.8. დეპოზიტის დაზღვევის შესახებ**:**

1.8.1. 2020 წლის 1 ივლისიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

1.8.2. რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ**?** – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 15,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 15,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

1.8.3. როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით**?** – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.

1.8.4. კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 [ოცი] კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები.

1.8.5. ანაზღაურების ვალუტა – ლარი.

2. საანგარიშსწორებო/მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობები

2.1. ბანკი ახორციელებს ანგარიშიდან თანხების გადარიცხვას მასზე არსებული ნაშთის [გარდა მინიმალური შეუმცირებადი ნაშთისა] / საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში.

2.2. ფულადი სახსრების გადარიცხვაზე კლიენტის საგადახდო დავალების შესრულება ბანკის მიერ ხორციელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ ვადებში.

2.3. კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, ამონაწერი ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შესახებ გაიცემა მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 საბანკო დღისა.

2.4. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე საანგარიშსწორებო – საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული.

ბანკი უფლებამოსილია**:**

2.5. გამოიყენოს ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები იმ პირობით, რომ კლიენტმა შეუფერხებლად მოახდინოს მათი განკარგვა.

2.6. კლიენტის მიერ წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში დახუროს ანგარიში.

კლიენტი უფლებამოსილია**:**

2.7. მისცეს ბანკს ისეთი დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, რომლებიც არ არის კანონმდებლობით აკრძალული.

2.8. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაითხოვოს/გააუქმოს ბანკში წარდგენილი საგადახდო დავალებები, ვიდრე ეს დავალება რეალურად არ შესრულებულა და გამოთხოვა/გაუქმება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ბანკი ვალდებულია**:**

2.9. დროულად მიიღოს და ჩარიცხოს გადმორიცხული ან ნაღდი სახით შემოსული ფულადი სახსრები ანგარიშზე.

2.10. შეასრულოს კლიენტის განკარგულება ანგარიშიდან თანხების გადარიცხვის ან ნაღდი სახით გაცემის შესახებ.

2.11. კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით ან ბანკთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დავალების გარეშეც ჩამოწეროს შესაბამისი თანხები ანგარიშიდან, აგრეთვე განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2.12. აუნაზღაუროს კლიენტს მიყენებული ზიანი, კლიენტის ანგარიშზე საკმარისი სახსრების არსებობისას, საოპერაციო დღის განმავლობაში ბანკში წარდგენილი საანგარიშსწორებო საბუთების წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადებში და წესით ბანკის ბრალეულობით შეუსრულებლობის შემთხვევაში [საოპერაციო დღე - კალენდარული დღე თბილისის დროით 10:00 სთ-დან 17:40 სთ-მდე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უქმე დღეებისა].

კლიენტი ვალდებულია**:**

2.13. ანგარიშზე ფულადი სახსრების შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს შეცდომის შესახებ.

2^1. საბანკო ოპერაციის **SMS** კოდით დადასტურების პირობები

2^1.1. წინამდებარე პირობები არეგულირებს ბანკში წარმოებული საბანკო ოპერაციების კლიენტის მიერ დადასტურებას SMS-ით მიღებული ერთჯერადი კოდით (შემდგომ „**SMS კოდი**“). საბანკო ოპერაციის SMS კოდით დადასტურება წარმოადგენს საბანკო ოპერაციის კლიენტის ხელმოწერით დადასტურების ალტერნატივას და, შესაბამისად, ის წარმოადგენს ქაღალდის მატარებელზე კლიენტის ხელმოწერის ტოლფასს.

2^1.2. ბანკში საბანკო ოპერაციის SMS კოდით დადასტურება გულისხმობს, რომ გადახდის ოპერაციის SMS კოდით დადასტურების მეთოდის კლიენტის მიერ არჩევის შემთხვევაში, ბანკი, კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომერზე, გაუგზავნის მას შესაბამისი საბანკო ოპერაციის მონაცემებს/რეკვიზიტებს და SMS კოდს;

2^1.3. მიღებული SMS კოდის ბანკისათვის ზეპირად მიწოდებით კლიენტის მიერ დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის საბანკო ოპერაციას, ეთანხმება მასში მოცემული მონაცემების /რეკვიზიტების სისწორეს და სურს აღნიშნული საბანკო ოპერაციის შესრულება;

2^1.4. SMS კოდის კლიენტის მიერ დასახელების შემთხვევაში, ბანკი განახორციელებს ამ კოდის პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და საბანკო ოპერაციის დასრულებას;

2^1.5. ბანკი ცალმხრივად, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავს იმ კონკრეტული საბანკო ოპერაციების ჩამონათვალს, რომელთა დადასტურებაც შესაძლებელია SMS კოდით;

2^1.6. საბანკო ოპერაციის SMS კოდით დადასტურების დროს, კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს კლიენტი საბანკო ოპერაციის დამადასტურებელი მატერიალური დოკუმენტით;

2^1.7. საბანკო ოპერაციის შესრულებამდე კლიენტს შეუძლია მისი გაუქმება SMS კოდით, ხოლო ბანკს ცალმხრივად იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციის დასასრულებლად არ გამოცხადდება ბანკის სალაროში ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საბანკო ოპერაციის გაუქმების შესახებ კლიენტს გაეგზავნება SMS.

2^1.8. ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ სავარაუდო ზიანზე, რომელიც შესაძლებელია დადგეს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ დასახელებულ იქნება ის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზე SMS გაგზავნამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული ზიანი.

3. საბანკო ბარათით მომსახურების პირობები

3.1. საბანკო ბარათი [შემდგომ „**ბარათი**“] წარმოადგენს საგადახდო ბარათს, რომლის მეშვეობით წარმოებული ოპერაციებით [ტრანზაქციებით] მფლობელი განკარგავს საბარათე ანგარიშზე რიცხულ თანხებს. მფლობელი ბარათით/მისი რეკვიზიტებით თანხებს განკარგავს ბანკომატის, პოს-ტერმინალის, ელ.კომერციის [E-commerce], ინტერნეტბანკის და სხვა შესაბამისი საბანკო სერვისების მეშვეობით. ბარათის მფლობელზე გაცემა ხორციელდება ბარათის მომსახურების/ბარათის დამზადების [ასეთის არსებობის შემთხვევაში]საკომისიოს და მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის [ასეთის არსებობის შემთხვევაში] შემოტანიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღისა.

3.1[1]. მინიმალური შეუმცირებადი ნაშთი არის თანხა, რომელიც დაბლოკილია საბარათე ანგარიშზე ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში. მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის ოდენობა განისაზღვრება ბანკის მიერ ბარათის ტიპის მიხედვით.

3.1[2]. ბარათთან დაკავშირებული რიგი საკითხების რეგულირების მიზნით, ბანკის სისტემაში ფიქსირდება მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც ბანკი გააგზავნის SMS შეტყობინებას, ასევე საბანკო ბარათით მომსახურების პირობებით გათვალისწინებულ სხვა შეტყობინებას/ინფორმაციას.

3.2. ბარათთან ერთად მფლობელს დახურულ კონვერტში გადაეცემა პინ-კოდი ან SMS-კოდი რომლის მეშვეობითაც, მფლობელი მობილური ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების სახით მიიღებს პინ-კოდს. ასევე, პინ-კოდის გაგზავნა შესაძლებელია მოხდეს უშუალოდ მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების სახით, კონვერტით SMS-კოდის გადაცემის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, მფლობელზე გაიცემა მხოლოდ ბარათი. მფლობელი ვალდებულია ბარათის გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია ბარათი, პინ-კოდი ან SMS-კოდი.

3.3. პინ-კოდის დავიწყების/დაკარგვის შეთხვევაში, მფლობელის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერზე, SMS შეტყობინების სახით, ახალი პინ-კოდის გაგზავნა, მას შემდეგ, რაც მფლობელი ბანკის ოპერატორს უკარნახებს ბანკის მიერ გაგზავნილ SMS [ერთჯერად] კოდს. განცხადების წარდგენა შესაძლებელია როგორც უშულოდ ბანკში გამოცხადების გზით, ასევე ვიდეობანკის საშუალებით ან შეტყობინების კონტაქტცენტრში [*2424/ [995 32] 224 24 24] წარდგენის გზით.

3.4. პინ-კოდის სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში ბარათი იბლოკება ავტომატურად და ბლოკის მოსახსნელად მფლობელმა უნდა მიმართოს ბანკს.

3.5. ბარათი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ მფლობელმა, მფლობელის მიერ ბარათისა და პინ-კოდის მესამე პირისათვის გადაცემა დაუშვებელია. პინ-კოდი არის კონფიდენციალური კოდი, რომელიც ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათის მფლობელის ელექტრონულ იდენტიფიკატორს.

3.6. ბარათი მოქმედებს მასზე მითითებული ვადის [თვე, წელი] თვის ბოლო დღის ჩათვლით.

3.7. მფლობელს ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ოპერაციების წარმოებისათვის ეხსნება - „საბარათე ანგარიში“ [შემდგომ - „**სა**“]. „სა“ წარმოადგენს მულტისავალუტო ანგარიშს, ანუ მასზე აღირიცხება ფულადი სახსრები სხვადასხვა ვალუტაში ცალ-ცალკე. ვალუტების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს მფლობელი.

3.7[1]. ვალუტების პრიორიტეტულობა გულისხმობს შემდეგს:

3.7[1].1. ინფორმაცია საბარათე ანგარიშზე რიცხული ნაშთის შესახებ მითითებულია პრიორიტეტულ ვალუტაში, იმ მომენტისათვის მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსის შესაბამისად.

3.7[1].2. თუ ტრანზაქციის განხორციელებისას ოპერაციის თანხა განსხვავდება პრიორიტეტული ვალუტისაგან და ამასთან, ეს თანხა აღემატება დავალებაში მითითებული ვალუტის “სა”-ზე არსებულ ნაშთს [ან ამ ვალუტაში საერთოდ არ ირიცხება ნაშთი], მოთხოვნილი თანხა სრულად ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან, თუმცა

მითითებულ ვალუტაში წარმოიქმნება უარყოფითი ნაშთი არასაკმარისი თანხის ნაწილში. აღნიშნული უარყოფითი ნაშთი იფარება პირველი პრიორიტეტული ვალუტის თანხის კონვერტაციის გზით, ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად. თუ პრიორიტეტულ ვალუტაში არ არსებობს საკმარისი ნაშთი, მაშინ უარყოფითი ნაშთი იფარება მომდევნო რიგის პრიორიტეტული ვალუტის თანხის კონვერტაციის გზით, ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

3.7[2]. ბარათით, მისი რეკვიზიტებით, პოს ტერმინალით, ელ.კომერციით, ბანკომატით ოპერაციის შესრულებისთანავე ბანკი ახდენს ტრანზაქციის თანხის ბლოკირებას. ბარათით შესრულებული ფაქტობრივი ოპერაციის თარიღი განსხვავდება „სა“-ზე მისი ასახვის თარიღისაგან და დამოკიდებულია ტრანზაქციის ტიპზე და ბანკომატების/პოს-ტერმინალების ქსელზე:

3.7[2].1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ბანკომატების/პოს-ტერმინალებში და ელექტრონული კომერციის ობიექტების ქსელში ბარათით განხორციელებული განაღდება/გადახდის ტრანზაქცია „სა“-ზე აისახება მომდევნო საბანკო დღეს.

3.7[2].2. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ბანკომატების ქსელში ბარათით განხორციელებული თანხის შეტანის ტრანზაქცია „სა“-ზე აისახება იმავე დღის 24:00 საათამდე [თბილისის დროით]. ამასთან, თუ თანხის შეტანა განხორციელდება 22:00 საათის [თბილისის დროით] შემდეგ, ტრანზაქცია „სა“-ზე აისახება მომდევნო დღეს.

3.7[2].3. ინტერნეტით შესრულებული გადახდა და სხვა ბანკის ბანკომატების/პოს ტერმინალების ქსელში ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია „სა“-ზე აისახება შესაბამისი საგადამხდელო სისტემის მიერ ტრანზაქციის დამუშავების შემდეგ. აღნიშნული ტრანზაქციის დამუშავების მაქსიმალური ვადა, როგორც წესი, არის 30 დღე.

3.7[3]. OCT [Original Credit Transaction]-ს მეშვეობით ბარათზე თანხის ჩარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებისას ბანკს აქვს შესაძლებლობა 30 წუთის განმავლობაში ასახოს შეტყობინებაში არსებული თანხა „სა“-ზე, ხელმისაწვდომი ნაშთის სახით [ხელმისაწვდომობა გულისხმობს განკარგვის უფლებამოსილებას]. თანხის ხელმისაწვდომი ნაშთის სახით „სა“-ზე ასახვამდე, აღნიშნული თანხის გახარჯვამ შესაძლოა გამოიწვიოს „სა“-ზე არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობა. OCT [Original Credit Transaction] წარმოადგენს გადახდის მეთოდს, რომლის მეშვეობითაც ხდება ბარათზე თანხის ჩარიცხვა სავაჭრო ან მომსახურების ობიექტის მიერ [მათ შორის კაზინო, ტოტალიზატორი და სხვა], ასევე ბარათიდან ბარათზე გადარიცხვის შემთხვევაში [card to card].

3.8. „სა“-ზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი დღიური და ერთჯერადი ლიმიტის ფარგლებში.

3.9. „სა“-ზე არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის შემთხვევაში, ბანკი SMS შეტყობინების [მოკლე ტექსტური შეტყობინება] გზით, ახორციელებს მფლობელის ინფორმირებას დავალიანების დაფარვის შესახებ. დავალიანება დაფარულ უნდა იქნას დაუყოვნებლივ. არასანქცირებული ოვერდრაფტი ნიშნავს ისეთ გარემოებას როცა კლიენტის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხები გაიხარჯა ხელმისაწვდომ ნაშთზე მეტი ოდენობით, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე.

3.10. არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისათვის მფლობელი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს საპროცენტო სარგებელი, არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობის მომენტისთვის, ბანკის მიერ არასანქცირებული ოვერდრაფტით სარგებლობისთვის დადგენილი განაკვეთის შესაბამისად, 365 დღეზე გაანგარიშებით. საპროცენტო სარგებელი ოვერდრაფტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის თარიღამდე.

3.11. წინამდებარე პირობების 3.9. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში ბარათი [ძირითადი და დამატებითი] იბლოკება [თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის

შეხედულებისამებრ საერთაშორისო სტოპ-სიაში]. მფლობელს ეკისრება ბარათის სტოპ-სიაში მოთავსების საკომისიო.

3.12. მფლობელის მიერ "სა"-ს დახურვის [ბარათის გაუქმების] მოთხოვნის შემთხვევაში, „სა"იხურება 45 [ორმოცდახუთი] დღის შემდეგ.

3.13. "სა"-ის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში მფლობელს ბარათის მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

3.14. მფლობელის მიერ "სა"-ს დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, "სა"-ს დახურვამდე მფლობელი პასუხისმგებელია „სა"-ზე განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე.

3.15. „სა"-ზე ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით, ბანკომატით, პოს-ტერმინალით, ელ. კომერციით, ოპერაციის შესრულებისთანავე, ბანკი ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ბანკის მიერ საბარათე სისტემისთვის დადგენილი კომერციული კურსი. ბანკის სისტემაში ოპერაციების ჩატარებისას კონვერტაცია ხორციელდება „სა"–ზე/"სა"–დან თანხების ჩამოწერის/ჩარიცხვის დღისათვის არსებული სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" კომერციული კურსით. თუ ტრანზაქცია შესრულებულია „სა"-ზე არსებული ვალუტებისგან განსხვავებულ ვალუტაში, ბანკის სისტემის გარეთ შესრულებული ოპერაციებისათვის დამატებით გამოიყენება VISA ან MasterCard მიერ დაწესებული კურსი.

3.16. ბანკი პასუხს არ აგებს, თუ ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ/ვერ მოხდა ბარათით თანხის განაღდება ბანკის სისტემის გარეთ არსებულ მომსახურების წერტილებში.

3.17. ბანკი პასუხს არ აგებს ბარათით ან მისი რეკვიზიტების გამოყენებით ჩატარებული ოპერაციების კანონიერებაზე.

3.18. თუ მფლობელი ბარათის დამზადებიდან 2 [ორი] თვის განმავლობაში არ მოითხოვს ბარათს, მაშინ ბარათი უქმდება. მფლობელს ბარათის მომსახურების/ბარათის დამზადების საკომისიო არ უბრუნდება, ხოლო „სა"-ზე რიცხული კლიენტის ფულადი სახსრების დაბრუნება მოხდება მოთხოვნიდან ორი საბანკო დღის ვადაში.

3.19. მფლობელის ინიციატივით ბარათის განახლების შემთხვევაში, არსებული ბარათი უბრუნდება ბანკს და მფლობელს ეკისრება ბარათის განახლების საკომისიოს გადახდა.

3.19.[1] მფლობელისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ თუ ის ფლობს ბანკის მიერ ემიტირებულ ისეთ ბარათს, რომელიც იძლევა ბარათსა და ბარათის წამკითხველ მოწყობილობას შორის უკონტაქტო კავშირის დამყარებით ტრანზაქციის განხორციელების შესაძლებლობას, ასეთი ბარათით განხორციელებული 100 ლარამდე [ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში] ოდენობის ტრანზაქციების მფლობელის მიერ ავტორიზაცია ხდება ბარათის პინ კოდის გარეშე, მხოლოდ ბარათის და ბარათის წამკითხველს შორის დისტანციური კავშირის დამყარების საშუალებით. 2021 წლის 01 მარტიდან აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული ლიმიტი გაიზრდება 150 ლარამდე.

ბანკი უფლებამოსილია**:**

3.20. ბარათის მოქმედების ვადაში, შეცვალოს ბარათი ახალი ბარათით, აღნიშნულის შესახებ მფლობელისათვის შეტყობინებიდან 15 საბანკო დღის შემდეგ.

3.21. უარი განაცხადოს განაღდების დღიური ან/და ერთჯერადი ლიმიტის ცვლილებაზე.

3.22. მფლობელის მიერ საბანკო ბარათით მომსახურების პირობების დარღვევის ან ბარათზე უჩვეულო ან/და საეჭვო ოპერაციების გამოვლენის შემთხვევაში დაბლოკოს ან დააკავოს ბარათი.

3.23. თუ ბარათის მფლობელი სარგებლობს სახელფასო პროექტის ფარგლებში მოქმედი შეღავათიანი ტარიფებით, ბანკი უფლებამოსილია გაუუქმოს მფლობელს შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლება და მოემსახუროს ბანკში არსებული სტანდარტული ტარიფებით თუ: ა) მფლობელის დამსაქმებელ ორგანიზაციას და ბანკს შორის შეწყდა სახელფასო პროექტით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება ბ) მფლობელი აღარ

წარმოადგენს იმ ორგანიზაციის დასაქმებულს, რომელთანაც ბანკს გაფორმებული აქვს სახელფასო პროექტით მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ბანკი ცალმხრივად ჩათვლის, რომ მფლობელი აღარ წარმოადგენს დასაქმებულს, თუ მის საბარათე ანგარიშზე ზედიზედ სამი თვის განმავლობაში არ მოხდება ხელფასის ჩარიცხვა.

ბანკი ვალდებულია:

3.24. მოთხოვნის შემთხვევაში მფლობელს გადასცეს ინფორმაცია „სა“ ზე განხორციელებული ოპერაციაზე ან/და ანგარიშის ამონაწერი. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია როგორც უშუალოდ ბანკში გამოცხადების გზით, ასევე, ინტერნეტბანკის, მობაილბანკის, ვიდეობანკის საშუალებით. SMS ბანკინგის საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის მიღება განხორციელებული ოპერაციის შესახებ, ხოლო კონტაქტცენტრის [*2424/ [995 32] 224 24 24] საშუალებით - ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ.

მფლობელი უფლებამოსილია:

3.25. არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან 45 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით, ინტერნეტბანკის, ვიდეობანკის ან კონტაქტცენტრში [*2424/ [995 32] 224 24 24] ზარის განხორციელების გზით გაასაჩივროს აღნიშნული ოპერაცია. აღნიშნულ ვადაში პრეტენზიის განუცხადებლობის შემთხვევაში, ტრანზაქცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. ამასთან, მფლობელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებსაც ბანკი მოითხოვს საჩივრის განხილვის მიზნით.

3.26. ბანკი ვალდებულია განიხილოს საჩივარი განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. თუ ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ბანკი აცნობებს მფლობელს დაგვიანების დასაბუთებულ მიზეზს, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადას. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და მფლობელისთვის გაცნობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღეს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს მფლობელის ინფორმირება წერილობით, ინტერნეტბანკის, მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების გაგზავნის ან კონტაქტცენტრის [*2424/ [995 32] 224 24 24] საშუალებით.

მფლობელი ვალდებულია:

3.27. „სა“-ზე რიცხული მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის [ასეთის არსებობისას] გახარჯვის [შემცირების] შემთხვევაში დაუყოვნებლივ, შეავსოს მინიმალური შეუმცირებადი ნაშთი დადგენილ ოდენობამდე ან მოითხოვოს „სა“ –ის დახურვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკის მიერ ბარათი [ძირითადი და დამატებითი] იბლოკება [თავსდება ლოკალურ სტოპ-სიაში, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ - საერთაშორისო სტოპ-სიაში]. მფლობელს ეკისრება ბარათის სტოპ-სიაში მოთავსების საკომისიო.

3.28. მის მიერ “სა”-ის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, ბარათი დააბრუნოს დახურვის შესახებ განცხადების წარმოდგენისას.

3.29. ბანკის მიერ ბარათის შეცვლის შემთხვევაში, დააბრუნოს ბარათი შეტყობინებიდან 14 საბანკო დღის ვადაში.

ბარათის დაკარგვისას/მოპარვისას, ასევე თუ პინ-კოდი და/ან ბარათის ზედაპირზე განთავსებული ინფორმაციია ცნობილი გახდა მესამე პირისათვის მოქმედების წესი:

3.30. ბარათის დაკარგვის /მოპარვისას, ასევე თუ პინ-კოდი და/ან ბარათის ზედაპირზე განთავსებული ინფორმაცია ცნობილი გახდა მესამე პირისათვის, მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ კონტაქტცენტრის მეშვეობით ტელეფონის ნომერზე *2424/ [995 32] 224 24 24.

3.31. სატელეფონო შეტყობინების მიღების შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს ბარათის მოთავსებას ლოკალურ სტოპ- სიაში.

3.32. შესაბამისი განცხადების მიღების და საკომისიოს გადახდის შემდეგ ბანკი ახორციელებს ახალი ბარათის დამზადებას.

3.33. მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის ბლოკირება ლოკალურ სტოპ სიაში მოთავსების გზით, დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით.

3.33[1]. მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს ბარათის ბლოკირება საერთაშორისო სტოპ სიაში მოთავსების გზით კონტაქტცენტრში [*2424/[995 32] 224 24 24] სატელეფონო ზარის განხორციელების ან ვიდეობანკის გზით. აღნიშნული შესაძლებელია სა“-ზე შესაბამისი მომსახურების საკომისიოსათვის საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში. სატელეფონო ზარით ან ვიდეობანკით მოთხოვნის წარდგენა, ბანკის მიერ განიხილება როგორც მფლობელის დავალება შესაბამისი საკომისიოს მფლობელის „სა“-დან ჩამოჭრაზე [მათ შორის კონვერტაციის გზით].

3.34. ბანკი პასუხს არ აგებს ბარათის დაკარგვის/მოპარვის შესახებ შეტყობინებამდე და ბარათის ლოკალურ სტოპ-სიაში მოთავსებამდე „სა“-ზე განხორციელებულ ოპერაციებზე. ბარათის ლოკალურ სტოპ-სიაში მოთავსებისას, მფლობელი ვალდებულია ბანკს აუნაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ოფლაინ ტრანზაქციების თანხა.

3.34[1]. ოფლაინ ოპერაცია [ტრანზაქცია] ეს არის ოპერაცია [ტრანზაქცია] რომელიც დადასტურებულია ბანკთან დაკავშირების გარეშე.

3.35. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ცრუ სატელეფონო შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე.

3.36. დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში ბარათი უნდა დაუბრუნდეს ბანკს.

3.36[1] ბარათით სარგებლობის უსაფრთხოების პირობები:

3.36[1].1. მფლობელი ვალდებულია დაიმახსოვროს პინ-კოდი, გაანადგუროს პინ-კოდის ფურცელი ან შეინახოს ბარათისაგან განცალკევებულად, მესამე პირთათვის მიუწვდომელ ადგილას.

3.36[1].2. მფლობელისათვის ცნობილია, რომ ბარათით სარგებლობის მიზნებისათვის სასუველია SMS ბანკინგის სერვისის გააქტიურება.

3.36[1].3. დაუშვებელია პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის, რაიმე ფორმით ბარათზე მითითება; პინ-კოდისა და ბარათის ერთად ტარება.

3.36[1].4. დაუშვებელია პინ-კოდის გამჟღავნება ელექტრონული ფოსტის, ტელეფონისა და კომინიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.

3.36[1].5. დაუშვებელია პინ-კოდის გამოყენება, გარდა ბანკომატებისა და პოს-ტერმინალებისა.

3.36[1].6. პინ-კოდის აკრეფისას, მფლობელი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ იგი არ არის ხილვადი გვერდზე მდგომი მესამე პირისათვის.

3.36[1].7. მფლობელი ვალდებულია, ქვეყნის გარეთ განახორციელოს ოპერაცია იმ ბანკომატებში, რომლებიც განთავსებულია ბანკის ფილიალებში, სახელმწიფო ორგანიზაციებში, დიდ სავაჭრო ცენტრებში, სასტუმროებში, აეროპორტებში და.ა.შ.

3.36[1].8. მფლობელი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს ბანკომატის ეკრანზე გამოტანილ შეტყობინებას [ასეთის არსებობის შემთხვევაში], რადგან ის შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას, მომსახურების დამატებითი საკომისიოს შესახებ.

3.36[1].9. მფლობელისათვის ცნობილია, რომ ბანკომატის ან ტერმინალის მომსახურე მხარემ შესაძლოა, ბანკისგან დამოუკიდებლად, მფლობელს შესთავაზოს განაღდების ოპერაციის განსხვავებულ ვალუტაში ანგარიშსწორება, განურჩევლად იმისა, თუ რა ვალუტას გასცემს ბანკომატი ფიზიკურად ან რა ვალუტა არის ხელმისაწვდომი „სა“-ზე. შემოთავაზებაზე თანხმობის დაფიქსირების შემთხვევაში, ოპერაცია დამუშავდება ბანკომატის მიერ განსაზღვრული კურსით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მფლობელისათვის მნიშვნელოვანი ხარჯი. მფლობელი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს შემოთავაზებულ გაცვლით კურსს და გააკეთოს სასურველი არჩევანი.

3.36[1].10. მფლობელი ვალდებულია, რომ სავაჭრო მომსახურების ობიექტებში ბარათით საგადამხდელო ოპერაციები განახორციელოს მისი თანდასწრებით და არ გაატანოს ბარათი მომსახურე პერსონალს.

3.36[1].11.მფლობელი ვალდებულია, შენაძენის/მომსახურების საფასურის გადახდის დროს ტრანზაქციის დადასტურებისას გააკონტროლოს ქვითარზე მითითებული თანხის, ვალუტისა და თარიღის სისწორე (მათ შორის SMS შეტყობინებაში) და მოითხოვოს ქვითრის ასლი.

3.36[1].12. მფლობელი ვალდებულია, არ მიუთითოს ბარათის „პინ-კოდი“ ბართის ინტერნეტ ქსელში გამოყენებისას. რეკომენდირებულია, ინტერნეტ ქსელში ბარათის გამოყენება მხოლოდ მფლობელის პირად კომპიუტერში, რადგან არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის დამახსოვრების რისკი.

3.36[1].13. მფლობელისთვის ცნობილია, რომ რეკომენდირებულია ბარათის გამოყენება მხოლოდ დაცულ და ნაცნობ ვებ.გვერდებზე, სადაც მოითხოვება CVV2/CVC2 და/ან 3D კოდით შესყიდვის დადასტურება. დაცული ვებ.გვერდები ძირითადად იწყება https და არა http. ასევე, დაცულ ვებ.გვერდებზე, ყოველთვის არსებობს დაცვის სისტემის ნიშნები „Verifiied by VISA”, “MasterCard SecureCode” და ა.შ.

3.36[1].14. მფლობელისათვის ცნობილია, რომ ბარათზე ჩართულია 3D უსაფრთხოების სერვისი, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ ონლაინ იდენტიფიკატორს. 3D კოდი გამოიყენება „Verified by VISA” ან/და “MasterCard SecureCode” სტასუსის მქონე ვებ. გვერდებზე შესყიდვების დასადასტურებლად და წარმოადგენს დამატებითი უსაფრთხოების საშუალებას VISA და MasterCard ბარათებით ინტერნეტ შესყიდვების განხორციელებისას. 3D კოდი ცნობილია მხოლოდ მფლობელისათვის.

3.36[1].15. მფლობელმა მუდმივად უნდა გააკონტროლოს ბარათის შენახვის ადგილი და ასევე „სა“-ზე თანხები ბრუნვა.

3.36[2]. ბარათის სტოპ-სიაში განთავსება

3.36[2].1.ლოკალურ სტოპ-სიაში ბარათის მოთავსება უზრუნველყოფს ბარათის ბლოკირებას „სა“-ზე განსახორციელებელი ოპერაციებისათვის [ტრანზაქციებისათვის], გარდა ოფლაინ ოპერაციებისა [ტრანზაქციებისა], მაქსიმუმ 1 [ერთ] საბანკო დღეში.

3.36[2].2 საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის მოთავსება უზრუნველყოფს ბარათის სრულ ბლოკირებას ოფლაინ ოპერაციებისათვის [ტრანზაქციებისთვისა] 14 [თოთხმეტი] დღით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ბარათის ფლობელის სურვილის მიხედვით, თავიდან უნდა მოხდეს ბარათის მოთავსება საერთაშორისო სტოპ-სიაში.

3.36[2].3. საერთაშორისო სტოპ-სიაში ბარათის მოთავსება ხორციელდება კონკრეტული რეგიონის მიხედვით. ბარათის საერთაშორისო სტოპ სიაში მოთავსება, შესაბამისი საბარათე სისტემის მიერ, ხორციელდება ბანკის მიერ აღნიშნული მოთხოვნის წარდგენიდან შვიდი სამუშაო დღის განმავლობაში [იგულისხმება ბანკისა და შესაბამისი საბარათე სისტემის სამუშაო დღეები].

3.36[2].4. ბარათის საერთაშორისო სტოპ-სიაში მოთავსება ხდება მხოლოდ მფლობელის „სა“-ზე შესაბამისი მომსახურების საკომისიოსათვის საკმარისი თანხის არსებობის შემთხვევაში.

3.36[3]. ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტებია:

- ბანკომატის საშუალებით თანხის შეტანის დღიური ლიმიტი;
- ბანკომატის/პოს-ტერმინალის საშუალებით თანხის განაღდების დღიური ლიმიტი;
- პოს-ტერმინალით/ინტერნეტით შესრულებული გადახდების დღიური ლიმიტი;
- პოს-ტერმინალით პინ-კოდის გამოყენების გარეშე შესრულებული გადახდის ერთჯერადი ლიმიტი;
- პოს-ტერმინალით მიყოლებით, პინ-კოდის გამოყენების გარეშე, შესრულებული გადახდის ლიმიტები.

3.36[4]. დღიური და ერთჯერადი ლიმიტების ოდენობა დამოკიდებულია ბარათის ტიპზე და გადახდის/განაღდების ოპერაციაზე. ბანკის დადგენილი დღიური და ერთჯერადი ლიმიტები მოცემულია საბანკო ანგარიშის მომსახურების ტარიფებში.

დამატებითი ბარათის გაცემის პირობები**:**

3.37. მფლობელს უფლება აქვს გასცეს დამატებითი ბარათი. არასრულწლოვანის მიერ, გარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანისა, დამატებითი ბარათის გაცემა არ ხდება.

3.38. არასრულწლოვანზე დამატებითი ბარათი გაიცემა 14 წლის ასაკიდან, ამასთან თუ არასრულწლოვანს აქვს პირადობის მოწმობა, პასპორტი ან ბინადრობის მოწმობა.

3.39. დამატებითი ბარათით ან მისი რეკვიზიტებით „სა“-ზე ჩატარებულ ოპერაციებზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ძირითადი ბარათის მფლობელს.

3.40. არასანქცირებული ოვერდრაფტის წარმოშობისას, მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის გახარჯვისას [შემცირებისას], ბარათზე ოვერდრაფტით სარგებლობის უფლების დაშვებისას დავალიანების წარმოქმნისას, ძირითად ბარათზე უჩვეულო ან/და საეჭვო ოპერაციების გამოვლენისას, მფლობელის მიერ საბანკო ბარათით მომსახურების პირობების დარღვევის და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ძირითადი ბარათის ბლოკირებისას ავტომატურად იბლოკება დამატებითი ბარათი.

3.41. დამატებითი ბარათის ბლოკირება შესაძლებელია როგორც ძირითადი ბარათის, ისე დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ, წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით. ძირითადი ბარათის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ბარათის ბლოკირება ნებისმიერი მიზეზით.

3.42. დამატებით ბარათზე ვრცელდება ძირითადი ბარათით სარგებლობის წესები და პირობები. დამატებითი ბარათის მფლობელი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ბანკისაგან ინფორმაცია ბარათით განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთის შესახებ, განკარგოს „სა“-ზე არსებული თანხები ინტერნეტბანკის, მობაილბანკის, ვიდეობანკის ან კონტაქტცენტრის მეშვეობით. ბანკის სისტემაში დაფიქსირებულ დამატებითი ბარათის მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერზე, ბანკის მიერ იგზავნება SMS შეტყობინება, მხოლოდ დამატებითი ბარათითა და მისი რეკვიზიტებით შესრულებული ოპერაციების შესახებ.

3.43. ერთ ბარათზე შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი დამატებითი ბარათის გაცემა.

4. კონტაქტცენტრი

4.1. მხარეები ადასტურებენ, რომ კლიენტის მიერ *2424 /[995 32] 224 24 24, სატელეფონო ზარის განხორციელების საფუძველზე [შემდგომ „კონტაქტცენტრი“] ბანკის მიერ შესრულებულ ოპერაციებს გააჩნიათ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ქაღალდის საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.

4.2. [ამოღებულია].

4.3. კონტაქტცენტრის მეშვეობით კლიენტს შეუძლია განახორციელოს შემდეგი საბანკო ოპერაციები:
[i] ანგარიშების და სესხების ნაშთებზე ინფორმაციის მიღება; [ii] მიმდინარე საკრედიტო დავალიანებაზე ინფორმაციის მიღება; [iii] გზავნილების განაღდება; [iv] SMS კოდის გენერირება ბარათის გარეშე თანხის გასანაღდებლად; [v] ბარათის დაბლოკვა და ბარათის განბლოკვა [ბარათის განბლოკვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბარათი დაბლოკილია კლიენტის მოთხოვნით ან პინ კოდის არასწორად მითითების გამო] და [vi] საბანკო პროდუქტების/გაყიდვის წერტილების შესახებ ინფორმაციის მიღება.

4.4. კონტაქტცენტრში მომსახურების მისაღებად, კლიენტის მიერ ბანკში განხორციელებული სატელეფონო ზარის შემდეგ, ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, კლიენტი ვალდებულია დაასახელოს პირადი ნომერი და ბანკის მიერ გაგზავნილი SMS კოდი [გარდა 4.3 პუნქტის [v] და [vi] ნაწილებით გათვალისწინებული მომსახურებისა].

4.5. მხარეები თანხმდებიან, რომ კონტაქტცენტრით სარგებლობისას, კლიენტის იდენტიფიცირების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს პირადი ნომერი და მის მიერ ბანკის სისტემაში რეგისტრირებულ მობილურის ნომერზე გაგზავნილი SMS კოდი.

4.6. პირადი ნომრის და SMS კოდის სწორად დასახელების შემთხვევაში ბანკი იღებს კლიენტისაგან ზეპირსიტყვიერ დავალებას შესასრულებელი ოპერაციის შესახებ.

4.7. მიღებული დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად, ბანკი აფორმირებს შესაბამის საბუთს ბანკის საოპერაციო დღის პროგრამაში.

4.8. კლიენტის მიერ SMS კოდის სამჯერ არასწორად დასახელების შემთხვევაში, კლიენტის დავალება არ სრულდება.

ბანკი უფლებამოსილია**:**

4.9. დასაბუთების გარეშე უარი განაცხადოს კონტაქტცენტრით მომსახურების განხორცილებაზე.

4.10. ცალმხრივად დააწესოს ლიმიტები/შეზღუდვები კონტაქტცენტრის საშუალებით განსახორციელებელ მომსახურებაზე/ოპერაციებზე .

ბანკი ვალდებულია**:**

4.11. [ამოღებულია].

4.12. აწარმოოს კლიენტის მიერ განხორციელებული ზარების ჩაწერა და შენახვა.

4.13. თუ ვერ ხერხდება კონტაქტცენტრით სსაბანკო ოპერაციის განხორციელება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ კლიენტს.

კლიენტი ვალდებულია**:**

4.14. არ გახადოს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის მიღებული ერთჯერადი SMS კოდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოწვეულ შედეგებზე ბანკი იხსნის პასუხისმგებლობას.

4.15. სრულად მიუთითოს ბანკს კონტაქტცენტრითგანსახორციელებელი ოპერაციისათვის საჭირო რეკვიზიტები.

კლიენტი უფლებამოსილია**:**

4.16. [ამოღებულია].

4.17. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემების საფუძველზე განხორციელებული ოპერაციის შედეგზე.

5. მობაილბანკით სარგებლობის პირობები

5.1. წინამდებარე პირობები არეგულირებს კლიენტისა და ბანკის უფლება - მოვალეობებს, კლიენტის მიერ მობაილბანკით სარგებლობასთან დაკავშირებით.

5.2. მობაილბანკით კლიენტს საშუალება აქვს განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია, წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით და შეზღუდვების გათვალისწინებით.

5.3. წინამდებარე პირობები კლიენტთან მიმართებით ძალაში შედის მას შემდეგ, რაც კლიენტის მიერ, ინტერნეტ კავშირის მქონე მოწყობილობაზე დაინსტალირდება ბანკის მობაილბანკის პროგრამული უზრუნველყოფა და კლიენტი მიიღებს მობაილბანკის მომხმარებლის სახელს და პაროლს.

5.4. საბანკო ოპერაციათა ჩამონათვალი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მობაილბანკით, ოპერაციათა განხორციელების წესი/შეზღუდვები და წინაპირობები, უსაფრთხოების მოთხოვნები განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე https://vtb.ge. აღნიშნული დოკუმენტი [შემდგომ "მობაილბანკის გამოყენების ინსტრუქცია"] წარმოადგენს წინამდებარე პირობების არსებით შემადგენელ ნაწილს.

5.5. კლიენტისათვის ცნობილია, რომ საბანკო ოპერაციების განხორციელების ფარგლები და ტიპები შეზღუდულია მობაილბანკის გამოყენების ინსტრუქციის თანახმად, ხოლო რიგი ოპერაციების შესრულებისათვის საჭიროა კლიენტის მიერ ბანკისათვის დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ან შესაბამისი აუტენტიფიკაციის მოწყობილობით [დიჯიპასი] დაგენერირებული ავტორიზაციის/დადასტურების ერთჯერადი კოდის გამოყენება.

5.6. ბანკი პასუხს არ აგებს, თუ რომელიმე ოპერაცია არ განხორციელდა ან არასანქცირებულად [მისი ნებართვის გარეშე] განხორციელდა კლიენტის ბრალით. კერძოდ, მან არ დაიცვა მობაილბანკის გამოყენების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესები, ვერ უზრუნველყო კავშირის საშუალებების ხელმისაწვდომობა [მობილური ტელეფონი არის გამორთული, მოწყობილობას, რომელზედაც დაინსტალირებულია მობაილბანკის პროგრამა არ აქვს ინტერნეტ კავშირი და ა.შ.], ანგარიშის სტატუსი ან მასზე არსებული ნაშთი ვერ უზრუნველყოფს ოპერაციის ჩატარებას, არასანქცირებულად იქნა გამოყენებული: მომხმარებლის სახელი ან/და პაროლი, მობაილბანკის პროგრამული უზრუნველყოფა, ტელეფონის ნომერი, კლიენტის მიერ გაცხადებული საკონტაქტო საშუალებები, მონაცემები ან/და მოწყობილობა, რომელზედაც დაინსტალირებულია მობაილბანკის პროგრამა.

5.7. მობაილბანკის გამოყენების ინსტრუქციით გათვალისწინებული ავტორიზაციის/დადასტურების ერთჯერადი კოდი კლიენტს ეგზავნება ბანკისათვის გაცხადებულ მობილური ტელეფონის ნომერზე ან აუტენთიფიკაციის სხვა საშუალებაზე.

5.8. მობაილბანკით სარგებლობის და ოპერაციების განხორციელების ბანკის მომსახურების საკომისიო განისაზღვრება ბანკში დადგენილი ტარიფებით.

5.9. კლიენტის მიერ მობაილბანკით ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებული მხარეთა უფლება - მოვალეობები შესაბამისად რეგულირდება საანგარიშსწორებო/მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობებით ან საბანკო ბარათით მომსახურების პირობებით.

5.10. კლიენტისათვის ცნობილია და ადასტურებს, რომ მობაილბანკით განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია ითვლება მის მიერ სამართლებრივი ძალის მქონე ნების გამოვლენად, შესაბამისი თანმდევი იურიდიული შედეგით. მობაილბანკის პროგრამის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ელექტრონულ ჩანაწერებს აქვთ იურიდიული ძალა და შესაძლებელია გამოყენებული იქნას მტკიცებულების სახით.

5.11. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემების საფუძველზე განხორციელებული ოპერაციის შედეგზე.

5.12. კლიენტი ვალდებულია:

5.12.1. მობაილბანკის პროგრამაში შესვლისთანავე შეცვალოს პაროლი.

5.12.2. არ გადასცეს მესამე პირს მობაილბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი, ან/და მოწყობილობა, რომელშიც დაინსტალირებულია მობაილბანკის პროგრამა.

5.12.3. ნომრის ცვლილების სურვილის შესახებ წინასწარ აცნობოს ბანკს.

5.12.4. ტელეფონის ან პაროლის დაკარგვის, ან მობაილბანკის არასანქცირებულად გამოყენების საშიშროების შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს ბანკს ვიდეობანკის, მობაილბანკის, ინტერნეტბანკის, კონტაქტცენტრის საშუალებით ან ბანკში გამოცხადების გზით.

5.13. ბანკი უფლებამოსილია:

5.13.1. ცალმხრივად შეცვალოს მობაილბანკის გამოყენების ინსტრუქცია ან/და წინამდებარე პირობები და შეცვლილი სახით განათავსოს იგი ბანკის ვებ გვერდზე.

5.13.2 მობაილბანკის პროგრამული ხარვეზის შემთხვევაში დროებით შეაჩეროს მობაილბანკით სარგებლობის შესაძლებლობა.

5.14 ბანკი ვალდებულია:

5.14.1 კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, გააუქმოს მობაილბანკით მომსახურება. მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია როგორც ბანკში უშუალოდ გამოცხადების გზით, ასევე კონტაქტცენტრის [*2424/ [995 32] 224 24 24] მეშვეობით ან ვიდეობანკის გზით. მობაილბანკის მომსახურების გაუქმებისას უქმდება მომხმარებლის სახელი [Username] და პაროლი [Password], რის გამოც მობაილბანკის მომსახურების გაუქმებასთან ერთად უქმდება ინტერნეტბანკით და ვიდეობანკით სარგებლობის უფლება.

5.14.2 წინამდებარე პირობების 5.12.4 პუნქტით მიღებული შეტყობინებისთანავე შეზღუდოს მობაილბანკით სარგებლობის უფლება.

6. ინტერნეტბანკით მომსახურების ძირითადი პირობები

6.1. კლიენტს შეუძლია, ბანკის მიერ დადგენილი შეზღუდვების და წინაპირობების გათვალისწინებით, ინტერნეტბანკის მეშვეობით განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო ოპერაციები.

6.2. წინამდებარე პირობების 6.3 - 6.21 პუნქტები არეგულირებს კლიენტის მიერ ინტერნეტბანკის იმ ვერსიის გამოყენებას, რომელიც განთავსებულია ბმულზე: https://ivtb.ge, ხოლო 6.22 - 6.46 პუნქტები - ინტერნეტბანკის განახლებული ვერსიით სარგებლობას, ბმულზე: https://beta.vtb.ge

ბანკი უფლებამოსილია:

6.3. გაუმჯობესოს მომსახურება, შეცვალოს მომსახურების მახასიათებლები.

6.4. კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე [გადარიცხვები, კონვერტაციები და ა. შ] ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრული დასაშვები ოდენობები ან მოცულობები [ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, გადარიცხვების ვალუტა და ა.შ].

ბანკი ვალდებულია:

6.5. კლიენტის ინტერნეტბანკში შესვლის შემდეგ, უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე, გადარიცხვებსა და ინტერნეტბანკში არსებულ სხვა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა.

6.6. გადასცეს კლიენტს პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი - მომხმარებლის სახელი [Username] და პაროლი [Password] [შემდგომ „სისტემის რეკვიზიტები“], რომელთა მეშვეობით ხდება ინტერნეტბანკში შესვლა.

6.7. უზრუნველყოს გადარიცხვების უსაფრთხოება ან/და ინტერნეტბანკში ავტორიზაციის უსაფრთხოება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან აუტენტიფიკაციის მოწყობილობაზე [დიჯიპასი] გაგზავნილი დინამიური კოდების გამოყენებით. კლიენტისათვის ცნობილია, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა ხდება მხოლოდ საქართველოში მოქმედი ფიჭური კავშირგაბმბულობის ოპერატორების ნომრებზე.

6.8. უზრუნველყოს ბანკის ვებ გვერდზე ინტერნეტბანკის მომსახურებით სარგებლობის წესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

კლიენტი უფლებამოსილია:

6.9. ბანკისადმი მიმართვის საფუძველზე ნებისმიერ დროს გაუქმოს ინტერნეტბანკით სარგებლობის უფლება.

6.10. წინამდებარე პირობების დაცვით აწარმოოს ინტერნეტბანკის მეშვეობით ყველა შესაძლო ოპერაცია.

6.11. ინტერნეტბანკის მიერ მიცემული შესაძლებლობების ფარგლებში, დამოუკიდებლად მოახდინოს პარამეტრთა მოდიფიცირება.

კლიენტი ვალდებულია:

6.12. უსაფრთხოდ შეინახოს ბანკის მიერ მინიჭებული „სისტემის რეკვიზიტები“. პაროლი კლიენტს შეუძლია შეცვალოს პირველი გამოყენების შემდეგ, ხოლო მომხმარებლის სახელი [Username] უცვლელია. ამასთან ბანკმა შესაძლოა, უსაფრთხოების მიზნებისთვის, გარკვეული პერიოდულობით მოსთხოვოს კლიენტს პაროლის ცვლილება [პაროლის სირთულესთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით] და თავის მხრივ კლიენტი ვალდებულია შეცვალოს პაროლი მოთხოვნილი პერიოდულობით და პირობით.

6.13. ხშირად ცვალოს პაროლი [Password], არ გაანდოს „სისტემის რეკვიზიტები“ მესამე პირს.

6.14. დარწმუნდეს, რომ დაუკავშირდა ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდს და ინტერნეტბანკში შესვლისას შეამოწმოს თავისი მონაცემების სისწორე.

6.15. მკაცრად დაიცვას ინტერნეტბანკით გადარიცხვების წარმოების უსაფრთხოების პირობები, არ დაუშვას მესამე პირის წვდომა სისტემის რეკვიზიტებსა და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიღებულ დინამიურ კოდამდე.

6.16. მკაცრად დაიცვას ინტერნეტბანკით სარგებლობის სხვა პირობები, რომლებიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ.გვერზე https:// vtb.ge.

განსაკუთრებული პირობები:

6.17. ბანკი კლიენტის საგადახდო დავალებას ასრულებს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ ვადებში.

6.18. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მხრიდან უსაფრთხოების პირობების დარღვევის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებზე ან/და გადარიცხვებზე ან/და გამჟღავნებულ საბანკო საიდუმლოებაზე.

6.19. ინტერნეტბანკის მომსახურების ბანკის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ სამი დღით ადრე შეატყობინოს კლიენტს ბანკისათვის მისაღები ფორმით. აღნიშნული ვადის დაცვა არ ხორციელდება, თუ ინტერნეტბანკის მომსახურების ბანკის მიერ კლიენტისათვის შეწყვეტა განხორციელდება დაუყოვნებლივ, წინამდებარე პირობებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.20. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე, შეწყვიტოს კლიენტის მომსახურება ინტერნეტბანკით, თუ კლიენტის მიერ 3 თვის განმავლობაში არ იქნება გადახდილი ტარიფებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

6.21. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

6.21.1. კლიენტის ტექნიკური საშუალებების გაუმართავობით ან ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეულ ოპერაციების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევებზე.

6.21.2. კლიენტის მიერ განაცხადის არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემებით შევსებით ან/და ინტერნეტბანკის საშუალებით გადარიცხვისას არასწორი რეკვიზიტების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე.

6.21.3. კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოწვეულ შედეგებზე.

6.21.4. წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული ბანკის რეკომენდაციების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

მომსახურების ძირითადი პირობები განახლებული ინტერნეტბანკისათვის, რომელიც განთავსებულია ბმულზე https://beta.vtb.ge

ბანკი უფლებამოსილია:

6.22. გაუმჯობესოს მომსახურება, შეცვალოს მომსახურების მახასიათებლები.

6.23. კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე [გადარიცხვები, კონვერტაციები და ა. შ] ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრული დასაშვები ოდენობები ან მოცულობები [ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, გადარიცხვების ვალუტა და ა.შ].

ბანკი ვალდებულია:

6.24. კლიენტის ინტერნეტბანკში შესვლის შემდეგ, უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშებზე, გადარიცხვებსა და ინტერნეტბანკში არსებულ სხვა მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა.

6.25. გადასცეს კლიენტს პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდი - მომხმარებლის სახელი [Username] და პაროლი [Password] [შემდგომ „სისტემის რეკვიზიტები“], რომელთა მეშვეობით ხდება ინტერნეტბანკის სისტემაში შესვლა.

6.26. უზრუნველყოს გადარიცხვების ან/და ინტერნეტბანკში ავტორიზაციის უსაფრთხოება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან აუტენტიფიკაციის მოწყობილობაზე [დიჯიპასი] გაგზავნილი დინამიური კოდების გამოყენებით. კლიენტისათვის ცნობილია, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა ხდება მხოლოდ საქართველოში მოქმედი ფიჭური კავშირგაბმბულობის ოპერატორების ნომრებზე.

6.27. უზრუნველყოს ბანკის ვებგვერდზე ინტერნეტბანკის მომსახურებით სარგებლობის წესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება.

კლიენტი უფლებამოსილია:

6.28. ბანკისადმი მიმართვის საფუძველზე ნებისმიერ დროს გააუქმოს ინტერნეტბანკით სარგებლობის უფლება.

6.29. წინამდებარე პირობების დაცვით აწარმოოს ინტერნეტბანკით მომსახურების მეშვეობით ყველა შესაძლო ოპერაცია.

6.30. ინტერნეტბანკის მიერ მიცემული შესაძლებლობების ფარგლებში, დამოუკიდებლად მოახდინოს პარამეტრთა მოდიფიცირება.

კლიენტი ვალდებულია:

6.31. უსაფრთხოდ შეინახოს ბანკის მიერ მინიჭებული „სისტემის რეკვიზიტები“. პაროლი კლიენტს შეუძლია შეცვალოს პირველი გამოყენების შემდეგ. ამასთან, ბანკმა შესაძლოა, უსაფრთხოების მიზნებისთვის, გარკვეული პერიოდულობით მოსთხოვოს კლიენტს პაროლის ცვლილება [პაროლის სირთულესთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინებით] და თავის მხრივ კლიენტი ვალდებულია შეცვალოს პაროლი მოთხოვნილი პერიოდულობით და პირობით.

6.32. ხშირად ცვალოს პაროლი [Password], არ გაანდოს „სისტემის რეკვიზიტები“ მესამე პირს.

6.33. დარწმუნდეს, რომ დაუკავშირდა ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდს და ინტერნეტბანკში შესვლისას შეამოწმოს თავისი მონაცემების სისწორე.

6.34. მკაცრად დაიცვას ინტერნეტბანკით მომსახურების გადარიცხვების უსაფრთხოების პირობები, არ დაუშვას მესამე პირის წვდომა სისტემის რეკვიზიტებსა და მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიღებულ დინამიურ კოდამდე.

6.35. [ამოღებულია].

განსაკუთრებული პირობები:

6.36. ბანკი კლიენტის საგადახდო დავალებას ასრულებს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ ვადებში.

6.37. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მხრიდან უსაფრთხოების პირობების დარღვევის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებზე ან/და გადარიცხვებზე ან/და გამჟღავნებულ საბანკო საიდუმლოებაზე.

6.38. ინტერნეტბანკის მომსახურების ბანკის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ სამი დღით ადრე შეატყობინოს კლიენტს ბანკისათვის მისაღები ფორმით. აღნიშნული ვადის დაცვა არ

ხორციელდება, თუ ინტერნეტბანკით მომსახურების კლინტისათვის შეწყვეტა განხორციელდება დაუყოვნებლივ, წინამდებარე პირობებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.39. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, კლიენტის წინასწარი ინფორმირების გარეშე, შეწყვიტოს კლიენტის მომსახურება ინტერნეტბანკით, თუ კლიენტის მიერ 3 თვის განმავლობაში არ იქნება გადახდილი ტარიფებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური.

6.40. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

6.40.1. კლიენტის ტექნიკური საშუალებების გაუმართავობით ან ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეულ ოპერაციების ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევებზე.

6.40.2.კლიენტის მიერ განაცხადის არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემებით შევსებით ან/და ინტერნეტბანკის სისტემის საშუალებით გადარიცხვისას არასწორი რეკვიზიტების გამოყენებით გამოწვეულ შედეგებზე.

6.40.3. კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოწვეულ შედეგებზე.

6.40.4. წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული ბანკის რეკომენდაციების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

6.41.ინტერნეტბანკი ინტეგრირებულია მობაილბანკთან, რაც გულისხმობს, რომ ორივე დისტანციური საშუალებისათვის კლიენტი სარგებლობს ერთი და იგივე მომხმარებლის სახელით, პაროლით და აუტენტიფიკაციის საშუალებით. ინტერნეტბანკის ან მობაილბანკის მომხარებლის/პაროლის/აუტენტიფიკაციის საშუალების შეცვლა გავრცელდება ორივე დისტანციურ საბანკო მომსახურებაზე.

6.42. საბანკო ოპერაციათა ჩამონათვალი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ინტერნეტბანკით, ოპერაციათა განხორციელების წესი/შეზღუდვები, წინაპირობები და უსაფრთხოების წესები განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ. გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტი [შემდგომ „ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქცია“] წარმოადგენს წინამდებარე პირობების არსებით შემადგენელ ნაწილს. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს აღნიშნული დოკუმენტი და შეცვლილი სახით განათავსოს ვებ გვერდზე.

6.43. კლიენტისათვის ცნობილია, რომ საბანკო ოპერაციების განხორციელების ფარგლები და ტიპები შეზღუდულია ინტერნეტბანკის გამოყენების ინსტრუქციის თანახმად, ხოლო რიგი ოპერაციების შესრულებისათვის საჭიროა კლიენტის მიერ ბანკისათვის დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი/აუტენტიფიკაციის მოწყობილობით დაგენერირებული ავტორიზაციის/დადასტურების ერთჯერადი კოდის გამოყენება.

6.44. კლიენტის მიერ ინტერნეტბანკით ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებული მხარეთა უფლება - მოვალეობები შესაბამისად რეგულირდება საანგარიშსწორებო/მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობებით ან საბანკო ბარათით მომსახურების პირობებით.

6.45.შესაბამისი ტარიფის გადახდის შემთხვევაში, კლიენტს უფლება აქვს ინტერნეტ/მობაილბანკის მოხმარებისათვის საჭირო დინამიური კოდების მისაღებად ისარგებლოს მისთვის გადაცემული აუტენტიფიკაციის მოწყობილობით [დიჯიპასი].

6.46. კლიენტისათვის ცნობილია, რომ დისტანციურ საბანკო მომსახურებაში მის მიერ შესაბამისი ოფციის არჩევის შემთხვევაში, დისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით, ავტორიზაციის/დადასტურების ერთჯერადი კოდის გარეშე განხორციელდება შემდეგი ოპერაციები: სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ არსებულ საკუთარ ანგარიშებს შორის გადარიცხვები და ვალუტის კონვერტაცია, გადახდების წარმოება [კომუნალური, ინტერნეტი, ტელეფონი და ა.შ.], განაცხადების ფორმირება რეგულარულ გადარიცხვებზე [სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ არსებულ საკუთარ ანგარიშებს შორის].

7. SMS ბანკინგის ძირითადი პირობები

7.1. წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით, კლიენტს საშუალება აქვს ისარგებლოს SMS ბანკინგით, რაც გულისხმობს მის მიერ ინფორმაციის მიღებას მოკლე ტექსტური შეტყობინების [შემდგომ „SMS“] სახით და ასეთივე შეტყობინების მეშვეობით სატელეფონო ნომრის ბალანსის შევსებას.

7.2. SMS იგზავნება კლიენტის მიერ ბანკისათვის გაცხადებულ ტელეფონის ნომერზე.

7.3. ბანკის მიერ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ავტომატურ ან გამოთხოვის რეჟიმში.

7.4. SMS ბანკინგის საშულებით მისაღები/გამოთხოვადი ინფორმაციის ჩამონათვალი, მითითებულია ოფიციალურ ვებ. გვერდზე https://vtb.ge. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტში მითითებულ ბმულზე არსებული პირობები.

7.5. SMS ბანკინგით კლიენტისათვის/კლიენტის მიერ რიგი ინფორმაციის მიღების/გამოთხოვის მომსახურების საფასური განისაზღვრება შესაბამისი ტარიფებით ან/და მომსახურების ფასს შეიძლება შეიცავდეს სხვა საბანკო მომსახურებისათვის კლიენტის მიერ გადახდილი ტარიფი.

7.6. SMS ბანკინგით სარგებლობისათვის განსაზღვრული ტარიფები განთავსებულია ბანკის ოფიალურ ვებ გვერდზე და რომლის ცალმხრივად შეცვლის უფლებამოსილება გააჩნია ბანკს.

7.7. ავტომატურ რეჟიმში ინფორმაცია კლიენტს მიეწოდება შესაბამისი ოპერაციის განხორციელებისთანავე.

7.8. გამოთხოვის რეჟიმით მისაღებ ინფორმაციას შეესაბამება შესაბამისი კოდი.

7.9. გამოთხოვის რეჟიმში ინფორმაციის მიღებისათვის კლიენტი ვალდებულია შესაბამისი კოდი SMS სახით გააგზავნოს ნომერზე „1505 “.

7.10. კოდების შესახებ ინფორმაციის მისაღებად კლიენტი ვალდებულია კოდი „?“ SMS _ის სახით გააგზავნოს ნომრებზე: „1505 “.

7.11. მომსახურების მისაღებად მოთხოვნა გაგზავნილი უნდა იქნას კლიენტის მიერ ბანკისათვის გაცხადებული ტელეფონის ნომრიდან.

7.12. ბანკი უფლებამოსილია უაქცეპტოდ ჩამოწეროს მომსახურების ტარიფი [ასეთის არსებობის შემთხვევაში] კლიენტის მიმდინარე/საბარათე ანგარიშიდან.

7.13. კლიენტი ვალდებულია აცნობოს ბანკს ტელეფონის ნომრის ცვლილების შესახებ.

7.14. ბანკს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა კლიენტის მიერ გაცხადებულ ტელეფონის ნომერზე ინფორმაციის გაგზავნისათვის, ვინაიდან, მხარეები ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ ასეთი სახით ინფორმაციის გაგზავნა ითვლება კლიენტისათვის საკუთარი ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიწოდებად.

7.15. ტელეფონის ნომერზე მიღებული ინფორმაციიის დაცულობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

7.16. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს SMS ბანკინგით სარგებლობაზე.

8. (ამოღებულია)

9. ინდივიდუალური დიზაინის ბარათის დამზადების პირობები

9.1. წინამდებარე პირობები არეგულირებს ბანკის მიერ ინდივიდუალური დიზაინის მქონე ბარათის დამზადებას.

9.2. კლიენტს შეუძლია ბარათის დიზაინი შეარჩიოს ვებ გვერდ designcard.vtb.ge [შემდგომ „ვებ გვერდი“] მეშვეობით, აღნიშნულ ვებ გვერდზე არსებული მოთხოვნების/პროცედურების გათვალისწინებით.

9.3. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ თუ მის მიერ შერჩეული გამოსახულება ეწინააღმდეგება ვებ გვერდზე მითითებულ აკრძალვებს, ბანკს უფლება აქვს უარი განაცხადოს აღნიშნული გამოსახულების გამოყენებაზე.

9.4. კლიენტი ეთანხმება, რომ გამოსახულების აკრძალვებთან შესაბამისობის დადგენა წარმოადგენს ბანკის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და ბანკი დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენს გამოსახულების აკრძალვებთან შესაბამისობას. ბანკი არ არის ვალდებული აცნობოს კლიენტს გამოსახულების უარყოფის კონკრეტული მიზეზი.

9.5. კლიენტი ადასტურებს, რომ გამოსახულების ბარათზე დატანით არ ირღვევა მესამე პირის საავტორო ან სხვა უფლებები და მის მიერ შერჩეულ გამოსახულებასთან დაკავშირებით მესამე პირს არ შეუძლია გამოხატოს ნებისმიერი სახის პრეტენზია ან უფლება [საავტორო და ა.შ].

9.6. თუ გამოსახულების ბარათზე დატანის შემდეგ მესამე პირი განაცხადებს პრეტენზიას გამოსახულებასთან დაკავშირებით, აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.

9.7. მესამე პირის პრეტენზიის შედეგად ბანკისათვის რაიმე სახის ხარჯი ან ზიანის [ჯარიმა, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ზიანის ანაზღაურება და ა.შ.] წარმოშობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს აღნიშნული ხარჯი /ზიანი.

10. Pay sticker –ით სარგებლობის პირობები

10.1. Pay sticker [შემდგომ „სტიკერი“] წარმოადგენს ბანკის მიერ ემიტირებულ მცირე ზომის ბარათს, რომელიც ბარათის წამკითხველ მოწყობილობასთან უკონტაქტო [დისტანციური] კავშირის დამყარების საშუალებით ახდენს „სა“–დან ტრანზაქციის განხორციელებას. სტიკერით ვერ მოხდება: ტრანზაქცია ბარათის წამკითხველ ისეთ ტერმინალებში რომლებიც არ არიან აღჭურვილები უკონტაქტო ბარათის წამკითხველი ფუნქციით, ბანკომატიდან თანხის გამოტანა და ანგარიშსწორება ინტერნეტის მეშვეობით.

10.2. სტიკერი გაიცემა მხოლოდ ძირითადი ვადიანი საბანკო ბარათის მფლობელზე, სტიკერის დამზადების ღირებულების გადახდისთანავე.

10.3. სტიკერთან ერთად მფლობელს გადაეცემა „პინ-კოდი“ დახურულ კონვერტში.

10.4. სტიკერის „პინ-კოდის“ ცვლილება არ არის შესაძლებელი. „პინ-კოდის“ დავიწყების/დაკარგვის/დაბლოკვის შემთხვევაში, მფლობელის წერილობითი განცხადების, სტიკერის დაბრუნების და სტიკერის დამზადების ღირებულების გადახდის შემდეგ გაიცემა ახალი სტიკერი და „პინ-კოდი“.

10.5. „პინ-კოდის“ სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში „სტიკერი“ იბლოკება .

10.6. სტიკერი შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ მფლობელმა, მფლობელის მიერ სტიკერისა და „პინ- კოდის“ მესამე პირისათვის გადაცემა დაუშვებელია.

10.7. სტიკერის მოქმედების ვადა მითითებულია იმ პლასტიკზე, რომელიც გადაეცემა კლიენტს და რომელიც წარმოადგენს სტიკერის ჩარჩოს.

10.8. სტიკერის გაუქმება ხდება მფლობელის წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელიც მფლობელის მიერ ხელმოწერილი უნდა იყოს უშუალოდ ბანკში.

10.9. მფლობელის მიერ სტიკერის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, მფლობელი პასუხისმგებელია სტიკერის გაუქმებამდე სტიკერით განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე.

10.10. ბანკი პასუხს არ აგებს, თუ ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, არ/ვერ მოხდა სტიკერით ტრანზაქციის განხორციელება ბანკის სისტემის გარეთ არსებულ მომსახურების წერტილებში.

10.11. ბანკი პასუხს არ აგებს სტიკერის გამოყენებით ჩატარებული ოპერაციების კანონიერებაზე.

10.12. სტიკერის მეშვეობით 100 ლარამდე [ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში] ოდენობის ტრანზაქციების განხორციელებისას, გადახდის ავტორიზაცია ხდება სტიკერის „პინ კოდის“ გარეშე, ხოლო 100 ლარს [ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში] ზევით ოდენობის ტრანზაქციების განხორციელებისას – „პინ კოდის“ მეშვეობით. 2021 წლის 01 მარტიდან, აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული ლიმიტი შეადგენს 150 ლარს.

10.13. [ამოღებულია].

10.14. [ამოღებულია].

10.15. სტიკერის დაკარგვის შემთხვევაში მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ ტელეფონის ნომერზე *2424/ [995 32] 224 24 24.

10.16. სატელეფონო შეტყობინებისას, კონტაქტცენტრის პირობებით დადგენილი წესით იდენტიფიკაციის გავლის შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს სტიკერის დაბლოკვას ლოკალურ სტოპ სიაში მოთავსების გზით.

10.17. [ამოღებულია].

10.18. მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს სტიკერის ბლოკირება უშუალოდ ბანკში გამოცხადებით ანდისტანციური საბანკო მომსახურების მეშვეობით.

10.19. ბანკი პასუხს არ აგებს სტიკერის დაკარგვის შესახებ შეტყობინებამდე და სტიკერის ბლოკირებამდე „სა“-ზე განხორციელებულ ოპერაციებზე.

10.20. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ცრუ სატელეფონო შეტყობინების შედეგად სტიკერის ბლოკირებაზე.

10.21. დაკარგული სტიკერის აღმოჩენის შემთხვევაში სტიკერი უნდა დაუბრუნდეს ბანკს.

10.22. სტიკერით ტრანზაქციების განხორციელებისას თანხის გადარიცხვის ტარიფი/ლიმიტი განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით, რომელიც იდენტურია საბანკო ბარათით მომსახურებისათვის გათვალისწინებული ტარიფებისა.

11. ბანკის ლოიალურობის პროგრამის შესახებ

11.1. ბანკის მიერ შემუშავებული ლოიალურობის პოლიტიკით ან/და პარტნიორ ორგანიზაციებთან მიღწეული შეთანხმებებით განსაზღვრული წესით, კლიენტმა შეიძლება უკან მიიღოს სავაჭრო ობიექტებში ბარათით გახარჯული თანხების ნაწილი [Cash Back პრინციპი]. აღნიშნული პრინციპის დანერგვა, განხორციელება ან შეწყვეტა წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას.

11.2. კლიენტს უფლება აქვს ბანკისათვის წარდგენილი განაცხადით უარი თქვას Cash Back ის მიღებაზე.

11.3. Cash Back ის მიღების წინაპირობები, პროცედურები, ოდენობები და ტრანზაქციები რომლებზეც ხდება Cash Back ის მიღება - ცალმხრივად განისაზღვრება ბანკის მიერ. აღნიშნულის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე https://.vtb.ge.

11.4. მიღებული Cash Back კლიენტს აღერიცხება ბონუს თანხების სახით აღნიშნულისათვის გახსნილ ვირტუალურ ანგარიშზე. ტრანზაქციის განხორციელებიდან 14 დღის გასვლის შემდგომ კლიენტს უაქტიურდება ვირტუალურ ანგარიშზე აღრიცხული ბონუს თანხების განკარგვის უფლება. ბონუს თანხების განკარგვის მიზნით კლიენტი

ახდენს ვირტუალურ ანგარიშზე აღრიცხული თანხების გადატანას მის კუთვნილ საბარათე ან/და მიმდინარე ანგარიშზე. 11.5. კლიენტისათვის ცნობილია, რომ Cash Back_ ის საფუძველზე დარიცხული ბონუს თანხა უნდა გამოიყენოს [გადაიტანოს მის კუთვნილ საბარათე ან/და მიმდინარე ანგარიშზე] დარიცხვიდან 2 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დარიცხული ბონუს თანხა ანულირდება.

11[1]. ვიდეობანკით სარგებლობის პირობები

11[1].1.წინამდებარე პირობები არეგულირებს კლიენტისა და ბანკის უფლება - მოვალეობებს, კლიენტის მიერ ვიდეობანკით სარგებლობასთან დაკავშირებით.

11[1].2.ვიდეობანკით კლიენტს საშუალება აქვს განახორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია, წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით და შეზღუდვების გათვალისწინებით.

11[1].3. კლიენტს საშუალება აქვს ისარგებლოს ვიდეობანკით, https://videobank.ge/ ბმულის ან შესაბამისი android ან IOS აპლიკაციის გამოყენებით, ასევე ბანკის გაყიდვის წერტილებში განთავსებული შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობების მეშვეობით.

11[1].4. საბანკო ოპერაციათა ჩამონათვალი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ვიდეობანკით, ოპერაციათა განხორციელების წესი/შეზღუდვები და წინაპირობები განისაზღვრება ბანკის მიერ.

11[1].5. კლიენტისათვის ცნობილია, რომ საბანკო ოპერაციების განხორციელების ფარგლები და ტიპები შეზღუდულია ბანკის მიერ, ხოლო რიგი ოპერაციების შესრულებისათვის საჭიროა კლიენტის მიერ ბანკისათვის დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ავტორიზაციის/დადასტურების ერთჯერადი კოდის გამოყენება.

11[1].6. ბმულ https://videobank.ge/ შესვლის შემდეგ ვიდეობანკით სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებულია გამოიყენოს ინტერნეტ/მობაილბანკის რეკვიზიტები - მომხმარებლის სახელი და პაროლი [ავტორიზაცია]. ვიდეობანკით სარგებლობა კლიენტს შეუძლია სტუმრის სტატუსით სახელის და პაროლის [ავტორიზაცია] გარეშე, რის შემდეგ ვიდობანკირი ახდენს კლიენტის იდენტიფიკაციას. ვიდეობანკის აპლიკაციით სარგებლობისას, კლიენტს შეუძლია გააქტიუროს მარტივი შესვლა passcode საშუალებით. ბანკის გაყიდვის წერტილში ვიდეობანკით სარგებლობას კლიენტი ახორციელებს ვიდეობანკის ოპერატორთან დაკავშირების გზით. ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მყარდება ვიზუალური კონტაქტი კლიენტსა და ვიდეობანკის ოპერატორს შორის. ვიდეობანკის ოპერატორი კლიენტის ვიზუალს ადარებს ბანკის ხელთ არსებულ ინფორმაციასთან და თუ ჩნდება ეჭვი, რომ ვიდეობანკით სარგებლობს არაუფლებამოსილი პირი, ვიდეობანკის ოპერატორს უფლება აქვს უარი განაცხადოს ვიდეობანკით მომსახურებაზე.

11[1].7. ვიდეობანკით სარგებლობისათვის, ტექნიკური საშუალება რომლითაც სარგებლობს კლიენტი, საჭიროა შესაბამისად იყოს აღჭურვილი. კერძოდ, უზრუნველყოფილი იქნას მუდმივი და მაღალი ხარისხის ინტერნეტ კავშირი, ვიდეო თვალი და ხმის მიღება/გამოცემა.

11[1].8. ბანკი პასუხს არ აგებს, თუ რომელიმე ოპერაცია არ განხორციელდა ან არასანქცირებულად [მისი ნებართვის გარეშე] განხორციელდა კლიენტის ბრალით. კერძოდ, კლიენტის მიერ იქნა ვერ უზრუნველყოფილი კავშირის საშუალებების ხელმისაწვდომობა [მობილური ტელეფონი არის გამორთული, მოწყობილობას, რომლითაც ხდება კავშირი არ აქვს ინტერნეტ კავშირი და ა.შ.], ანგარიშის სტატუსი ან მასზე არსებული ნაშთი ვერ უზრუნველყოფს ოპერაციის ჩატარებას, არასანქცირებულად იქნა გამოყენებული: მომხმარებლის სახელი ან/და პაროლი, ტელეფონის ნომერი, კლიენტის მიერ გაცხადებული საკონტაქტო საშუალებები [ელექტრონული ფოსტა და სხვა].

11[1].9. ვიდეობანკის გამოყენებისას ავტორიზაციის/დადასტურების ერთჯერადი კოდი კლიენტს ეგზავნება ბანკისათვის გაცხადებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

11[1].10. კლიენტის მიერ საბანკო ოპერაციის შესრულებაზე ნების გამოხატვა ხდება მისი ხმოვანი დავალებით დროის რეალურ რეჟიმში.

11[1].11. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ: [1] ბანკის მიერ ხორციელდება ვიდეობანკით სარგებლობის პროცესის ვიდეო/აუდიო ჩაწერა და [2] აღნიშნული ვიდეო/აუდიო ჩანაწერი ინახება ბანკის მიერ, რათა შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, დადასტურებული იქნას კლიენტის მიერ ბანკისათვის მიცემული დავალებების/მოთხოვნების ნამდვილა.

11[1].12. ვიდეობანკით სარგებლობის და ოპერაციების განხორციელებისათვის საკომისიო განისაზღვრება ბანკის სტანდარტული ტარიფებით.

11[1].13. ვიდეობანკით ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებული მხარეთა უფლებამოვალეობები რეგულირდება საანგარიშსწორებო/მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ძირითადი პირობებით ან საბანკო ბარათით მომსახურების პირობებით.

11[1].14. კლიენტისათვის ცნობილია და ადასტურებს, რომ ვიდეობანკით განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია ითვლება მის მიერ სამართლებრივი ძალის მქონე ნების გამოვლენად, შესაბამისი თანმდევი იურიდიული შედეგით.

11[1].15. ვიდეობანკის მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ელექტრონულ/აუდიო/ვიდეო ჩანაწერებს აქვთ იურიდიული ძალა და შესაძლებელია გამოყენებული იქნას მტკიცებულების სახით.

11[1].16. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ არასწორი, არასრულყოფილი ან მცდარი მონაცემების საფუძველზე განხორციელებული ოპერაციის შედეგზე.

11[1].17 კლიენტის ვალდებულია:

11[1].17.1. არ გადასცეს მესამე პირს ინტერნეტ/მობაილბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი;

11[1].17.2. ტელეფონის ნომრის ცვლილებისშესახებ წინასწარ აცნობოს ბანკს.

11[1].18. ბანკი უფლებამოსილია:

11[1].18.1. ცალმხრივად შეცვალოს ვიდეობანკით სარგებლობის წინამდებარე პირობები და შეცვლილი სახით განათავსოს იგი ბანკის ვებ გვერდზე.

11[1].18.2. კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე [გადარიცხვები, კონვერტაციები და ა. შ.] ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები და დაადგინოს ასეთი ოპერაციების ზღვრული ოდენობა [ერთჯერადი გადარიცხვის მაქსიმალური თანხა, გარკვეულ პერიოდში ჯამურად გადასარიცხი თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადარიცხვების მაქსიმალური რაოდენობა, გადარიცხვების ვალუტა და ა.შ.].

11[1].19. კლიენტისათვის ცნობილია, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა ხდება მხოლოდ საქართველოში მოქმედი ფიჭური კავშირგაბმბულობის ოპერატორების ნომრებზე.

11[1].20. ბანკი კლიენტის საგადახდო დავალებას ასრულებს „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის და ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით დადგენილ ვადებში.

11[1].21. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მხრიდან უსაფრთხოების პირობების დარღვევის შედეგად განხორციელებულ ოპერაციებზე ან/და გადარიცხვებზე ან/და გამჟღავნებულ საბანკო საიდუმლოებაზე.

11[1].22. ვიდეობანკი ინტეგრირებულია სხვა დისტანციური მომსახურების სისტემებთან [ინტერნეტ/მობაილბანკთან], რაც გულისხმობს, რომ ყველა დისტანციური მომსახურების საშუალებისათვის კლიენტი სარგებლობს ერთი და იგივე მომხმარებლის სახელით და პაროლით. რომელიმე დისტანციური მომსახურების სისტემის ჭრილში

ბანკის მომხარებლის/პაროლის/ შეცვლა გავრცელდება საბანკო მომსახურების ყველა დისტანციურ საშუალებაზე.

11^{1}.23.ვიდეობანკით სარგებლობის სხვა პირობები მოცემულია ბანკის ოფიციალურ ვებ.გვერდზე https://vtb.ge.

11^{2}. SMS კოდის გამოყენებით თანხის განაღდების/ჩარიცხვის სერვისის პირობები

11^{2}.1. SMS კოდის გამოყენებით თანხის განაღდების/ჩარიცხვის სერვისი წარმოადგენს თანხის განაღდების/ჩარიცხვის ალტერნატიულ ტექნოლოგიას.

11^{2}.2. SMS კოდის გამოყენებით თანხის განაღდების/ჩარიცხვის სერვისის გამოყენებით შესაძლებელია წინასწარ დაგენერირებული SMS კოდით, ბარათის გარეშე, თანხის განაღდება ბანკომატიდან ან ინტერნეტბანკის არხიდან თანხის ჩარიცხვა ბანკში გახსნილ ნებისმიერი პირის ანგარიშზე. SMS კოდის მესამე პირისათვის გადაცემა შეზღუდული არ არის. ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ სავარაუდო ზიანზე, რომელიც შესაძლებელია დადგეს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი SMS კოდს გადასცემს მესამე პირს.

11^{2}.3. SMS კოდით თანხის განაღდება/ჩარიცხვა შესაძლებელია როგორც მიმდინარე, ისე საბარათე ანგარიშიდან. ბანკი ცალმხრივად, თავისი შეხედულებისამებრ, განსაზღვრავს იმ სხვა კონკრეტულ საბანკო პროდუქტებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია SMS კოდით თანხის განაღდება.

11^{2}.4. SMS კოდის გამოყენებით თანხის განაღდების/ჩარიცხვის ოპერაციის ინიცირება შესაძლებელია ბანკის დისტანციური არხებით: ინტერნეტბანკი, მობაილ ფეი, კონტაქტცენტრი და ვიდეობანკი. SMS კოდის გამოყენებით თანხის განაღდების ოპერაციის ინიცირება შესაძლებელია ასევე ბანკის ნებისმიერი გაყიდვის წერტილში.

11^{2}.5. SMS კოდი არის 4 ციფრიანი კოდი, რომლიც კლიენტს ეგზავნება SMS შეტყობინებით მის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე.

11^{2}.6. SMS კოდის დაგენერირება ხდება კლიენტის შესაბამის ანგარიშზე სათანადო თანხის [გასანაღდებელი/ჩასარიცხი თანხა და საკომისიო] არსებობის შემთხვევაში.

11^{2}.7. ბანკომატიდან თანხის განაღდება და ინტერნეტბანკის არხიდან ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ SMS კოდისა და გასანაღდებელი/ჩასარიცხი თანხის ზუსტად მითითების შემთხვევაში. დაგენერირებული SMS კოდის გამოყენება შესაძლებელია ერთჯერადად. ინტერნეტბანკის, კონტაქცენტრის ან მობაილ ფეის მეშვეობით დაგენერირების შემთხვევაში SMS კოდი მოქმედებს მისი დაგენერირებიდან 24 საათის განმავლობაში, ხოლო ვიდეობანკის ან გაყიდვის წერტილების მეშვეობით დაგენერირების შემთხვევაში - დაგენერირებიდან 1 საათის განმავლობაში.

11^{2}.8. კლიენტს შეუძლია გააუქმოს უკვე დაგენერირებული SMS კოდი, თუ ის არ არის გამოყენებული. SMS კოდის გაუქმება შესაძლებელია 11^{2}.4 პუნქტში მითითებული ყველა არხიდან. SMS კოდის ან/და გასანაღდებელი თანხის სამჯერ არასწორად შეყვანის ან SMS კოდის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, SMS კოდი უქმდება და მისი გამოყენება შეუძლებელი ხდება. SMS კოდის გაუქმების შემთხვევაში, კლიენტის ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხა საკომისიოს ჩათვლით ბრუნდება კლიენტის შესაბამის ანგარიშზე. გამონაკლისია ინტერნეტბანკის, კონტაქცენტრი ან მობაილ ფეის მეშვეობით დაგენერირებული SMS კოდის მოქმედების ვადის გასვლის გამო გაუქმების შემთხვევა, როდესაც კლიენტს გადახდილი საკომისიო არ უბრუნდება.

11^{2}.9. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის სხვა პირობები მოცემულია ბანკის ოფიციალურ ვებ.გვერდზე https://vtb.ge.

12. მხარეთა ზოგადი უფლება **-** მოვალეობები

ბანკი უფლებამოსილია:

12.1. ანგარიშიდან [მათ შორის მინიმალური შეუმცირებადი ნაშთიდან] უაქცეპტოდ ჩამოწეროს:

12.1.1.ბანკის მომსახურების საფასური ყოველი საბანკო ოპერაციის ჩატარებისას, დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

12.1.2. წინამდებარე პირობების/ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტზე დაკისრებული ჯარიმა/საკომისიო/საურავი/პირგასამტეხლო.

12.1.3. დავალიანების თანხა, რომელიც კლიენტს ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძველზე გააჩნია ბანკის მიმართ.

12.1.4. შეცდომით ჩარიცხული თანხები და აღადგინოს შესაბამის ანგარიშზე ან გადარიცხოს დანიშნულებისამებრ.

12.1.5. საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის და სხვა მომსახურე ბანკების საკომისიოები.

12.1.6. ბანკის ფაქტიური დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო ბარათის უკანონო გამოყენების აღმოფხვრასთან [დაბლოკვა და ა.შ].

12.1.7. თანხები, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. კლიენტის ხარჯზე მოახდინოს ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ კომერციული კურსის შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაჭრელი თანხის ვალუტა განსხვავდება დავალიანების სავალუტო ერთეულისგან.

12.3. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულებით/პირობებით გათვალისწინებული მომსახურება და დახუროს ანგარიში თუ 12 თვის განმავლობაში კლიენტი ვერ უზრუნველყოფს ანგარიშზე მინიმალური შეუმცირებადი ნაშთის არსებობას.

12.4. დახუროს ანგარიში მოქმედი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კლიენტის გაფრთხილების გარეშე.

12.5. ცალმხრივად შეწყვიტოს საანგარიშსწორებო/მიმდინარე ანგარიშით ან/და საბანკო ბარათით მომსახურების ძირითადი პირობებით გათვალისწინებული მომსახურება ისე, რომ კლიენტს სხვაგვარად შეეძლოს მსგავსი მომსახურების მიღება, გარდა 2.6, 12.3, 12.4, 12.6, 12.8 პუნქტებით, ასევე წინამდებარე პირობებით ან/და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშის დახურვა ხორციელდება კლიენტის გაფრთხილების გარეშე.

12.6. სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს/შეუწყვიტოს კლიენტს ანგარიშებზე ოპერაციების წარმოება ან/და დახუროს კლიენტის ანგარიშები შემდეგ შემთხევებში: [ა] თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი კლიენტის ერთი ან რამდენიმე ტრანზაქციის კანონიერებასთან დაკავშირებით [ბ] თუ ბანკისთვის ცნობილი გახდება ან არსებობს ეჭვი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა სახის სავარაუდო დანაშაულში კლიენტის, მისი წარმომადგენლის, ბენეფიციარი მესაკუთრის ან კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირის შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

12.7. კონკრეტული საბანკო პროდუქტისათვის განსაზღვრული პერიოდული ტარიფი მიიღოს წინასწარ, კლიენტის მიერ აღნიშნული პროდუქტით სარგებლობის შესახებ ნების გამოხატვისთანავე.

12.8. წინამდებარე პირობების 12.19 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ან შესაძლო ზიანის რისკის დონის გათვალისწინებით, ბანკი უფლებამოსილია დაუხუროს კლიენტს ბანკში

არსებული ანგარიში [ანგარიშზე ნაშთის არარსებობის შემთხვევაში] ან შეუჩეროს კლიენტს ოპერაციების წარმოება [ანგარიშზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში].

12.9. მოსთხოვოს კლიენტს ზიანის ანაზღაურება/ჯარიმის გადახდა მის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა შეადგენს შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებული ნაწილის 0,5% ყოველი დღისათვის.

12.10. ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში/ტარიფებში და აღნიშნული ცვლილებები განათავსოს ბანკის ვებ-გვერდზე.

12.11.წინამდებარე პირობებში/ტარიფებში ცვლილების შეტანა განახორციელოს აღნიშნულის შესახებ კლიენტისათვის კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერ[ებ]ზე ან ელექტონული ფოსტის მისამართ[ებ]ზე შესაბამისი შეტყობინების ან ინტერნეტბანკის, მობაილბანკის საშუალებით შეტყობინების გაგზავნის გზით. ცვლილება ძალაში შედის შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის შემდეგ, თუ კლიენტი, შეთავაზებულ პირობებზე, ცვლილების ამოქმედებამდე არ განაცხადებს უარს. .. ბანკის მიერ კლიენტის შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხორციელდება მომსახურების ტარიფის ოდენობის ცვლილება კლიენტის სასარგებლოდ, ასევე იმ ახალ საგადახდო მომსახურებაზე რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას [მომსახურებებს].

12.11[1]. ცვლილებებზე კლიენტის უარის შემთხვევაში, ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, ბანკი უფლებამოსილია შეუწყვიტოს კლიენტს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ.

12.12. კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერ[ებ]ზე ან ელექტონული ფოსტის მისამართ[ებ]ზე, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, გააგზავნოს ბანკის სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები ყოველგვარი შინაარსობრივი შეზღუდვის გარეშე. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილი იქნას როგორც ბანკის, ისე ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანიის მიერ. ბანკი/ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანია ასევე უფლებამოსილია ზემოაღნიშნული ინფორმაცია კლიენტს შატყობინოს სატელეფონო ზარის ან კომუნიკაციის სხვა საშუალების [ინტერნეტბანკი, მობაილბანკი და სხვა] მეშვეობითაც.

12.13. საგადახდო მომსახურების პროვაიდერს გადასცეს კლიენტის/კლიენტის ანგარიშის შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მესამე პირებს, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ან მათი სუბ აგენტების მეშვეობით კლიენტის საბანკო ანგარიშებზე განათავსონ თანხა.

12.14. კლიენტისათვის მომსახურების გაწევის ან/და საბანკო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, როგორც საბანკო ანგარიშით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი მოქმედების დასრულების შემდგომაც, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერი საკრედიტო–საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან ან/და სხვა წყაროდან მოიძიოს/გამოითხოვოს, გამოიყენოს ან სხვაგვარად დაამუშაოს კლიენტის შესახებ არსებული მონაცემები [მათ შორის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემები]. .

12.15. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით, კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ინფორმაცია კლიენტის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ, გადასცეს სხვა კომერციულ ბანკებს.

12.15[1]. ბანკის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული კვლევის განხორციელების მიზნით, კლიენტის პერსონალური ინფორმაცია გადასცეს კვლევის განმახორციელებელ პირს.ბანკი ვალდებულია:

12.16. კლიენტის ანგარიშზე ოპერაციები აწარმოოს დროულად, წინამდებარე პირობების დაცვით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.16[1]. „სა“-ზე განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით საჩივარი განიხილოს საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა. თუ ბანკისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ბანკი აცნობებს მფლობელს დაგვიანების დასაბუთებულ მიზეზს, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადას. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და მფლობელისთვის გაცნობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღეს. წინამდებარე პუნქტის მიზნებისათვის, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს მფლობელის ინფორმირება წერილობით, ინტერნეტბანკის, მფლობელის მობილური ტელეფონის ნომერზე SMS შეტყობინების გაგზავნის ან კონტაქტცენტრის [*2424/ [995 32] 224 24 24] საშუალებით.

კლიენტი ვალდებულია:

12.17.წარუდგინოს ბანკს ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელიც აუცილებელია შესაბამისი საბანკო ოპერაციების ჩასატარებლად.

12.18. ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს ბანკს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი [მათ შორის ტრანზაქციებთან დაკავშირებული] დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

12.19. წარადგინოს ბანკში თავის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია.

12.20. დაუყოვლებრივ აცნობოს ბანკს წინამდებარე პირობების 12.17 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის ან/და ბანკისათვის მიწოდებულ პერსონალურ მონაცემებში ცვლილებების შესახებ და წარუდგინოს ბანკს ამ ცვლილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია [ასეთის არსებობის შემთხვევაში]. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლისას, დაუყოვნებლივ წარუდგინოს ბანკს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12.21. დაუყოვლებრივ წერილობით აცნობოს ბანკს შესაბამის განაცხადში მითითებული ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ და წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12.22. ანგარიშზე საბანკო ოპერაციები განახორციელოს წინამდებარე პირობების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

12.23. ანგარიშზე ოპერაციების წარმოებისათვის გადაუხადოს ბანკს მომსახურების საფასური/საკომისიო ტარიფების შესაბამისად.

12.23[1]. ანგარიშზე ფულადი სახსრების შეცდომით ჩარიცხვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს შეცდომის შესახებ.

12.23[2]. აუნაზღაუროს ბანკს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი.

კლიენტი უფლებამოსილია:

12.24. ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ბანკს 12.12 პუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის კლიენტის შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა.

12.25. მიმართოს კონტაქტცენტრს ან გაყიდვის წერტილს წინამდებარე პირობების 12.24 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნით.

12.26. არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან 40 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო არასწორად განხორციელებული ოპერაციის შემთხვევაში 180 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით გააპროტესტოს აღნიშნული ოპერაცია. აღნიშნულ ვადაში პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, ტრანზაქცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება.

12.27. "სა"-ზე განხორციელებული ოპერაციის გასაჩივრება ხორციელდება წინამდებარე პირობების 3.25 პუნქტის შესაბამისად.

13. მომსახურების ღირებულება

13.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებისათვის ტარიფების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სერვისისათვის [მომსახურებისათვის] დადგენილი ტარიფებით, რომლებიც განთავსებულია ბანკის ვებ გვერდზე.

14. ინფორმაციის დაცვა

14.1. ბანკი და კლიენტი დაიცავენ წინამდებარე პირობების და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობის კონფიდენციალობას იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება:

- ინფორმაციას, რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მეორე მხარისაგან დამოუკიდებლად;
- ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
- ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად;

14.2. კლიენტისათვის ცნობილია, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" უფლებამოსილია კლიენტის სასესხო/გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს კლიენტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

14.3. კლიენტი თანხმობას აცხადებს, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ" კანონმდებლობით დადგენილი წესით [1] იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის [2] საბანკო მომსახურების მიღების [3] საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების გაგზავნის [4] განხორციელებული საბანკო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და [5] პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

14.4. წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებ[ებ]ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისაგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე პირობებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს ასევე სხვა მესამე პირებს.

14.5. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ანგარიშის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

14.6. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის.

14.7. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს კლიენტის მიმართ არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

14.8. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

14.9. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებული მონაცემები გადასცეს სადაზღვევო კომპანიას, რომელიც საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებით სადაზღვევო მომსახურებას გაუწევს ბანკს ან/და კლიენტს.

14.10. კლიენტის შესახებ ნებისმიერი სახის მონაცემის/ინფორმაციის მოძიების/გამოთხოვის, გამოყენების, მესამე პირებისათვის გადაცემის და სხვაგვარად დამუშავების წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები ძალაში რჩება საბანკო ანგარიშით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების დასრულების/შეწყვეტის შემდგომაც.

15. დავათა განხილვა

15.1. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N205267389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].